სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N 214

ქ. თბილისი 21 ნოემბერი 2018 წელი

ერთი მხრივ სსიპ **საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია**, წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი გულედანის სახით და მეორე მხრივ **შპს „პროფესიონალი-33“**, (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის დავით ელიავას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის $ს^1$ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ,,ა“ პუნქტის საფუძველზე, ურთიერთშეთანხმებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის მფლობელობაში არსებული ზუგდიდის ლაბორატორიის შენობის (მდებარე შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, მარცხენა სანაპირო N35) შიდა აზომვითი ნახაზის მომზადების მომსახურება (CPV71250000).

1.2 შესყიდვის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსავლები.

2. მომსახურების გაწევის ვადა, ღირებულება და პირობები

2.1 მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 7(შვიდი) კალენდარული დღე.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 240.00 (ორას ორმოცი) ლარს.

2.3 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის“ ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მოსაკრებლებს და სხვა.

2.4 ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

2.5 მიმწოდებელმა აზომვითი ნახაზი უნდა წარმოადგინოს როგორც ქაღალდზე დატანილი, ისე ელექტრონულად (CD დისკზე) AUTOCAD-ში, ან ARCHICAD-ში შესრულებული, ორ-ორ ეგზემპლარად.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1 მომსახურების მიწოდება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც „შემსყიდველის“ მხრიდან ხელს მოაწერს სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის ზუგდიდის ლაბორატორიის უფროსი მანანა კაკულია, ხოლო „მიმწოდებლის“ მხრიდან - მისი უფლებამოსილი პირი.

4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მომსახურების მიწოდების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან 10(ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია, განაცხადოს უარი უხარისხოდ შესრულებული მომსახურების მიღებაზე.

5.2 შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას:

5.2.1 დროულად უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების მიღება.

5.2.3 უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა „მიმწოდებლის“ საბანკო ანგარიშზე.

5.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

5.3.1 პასუხი აგოს მიწოდებული მომსახურების ხარისხსა და მონაცემთა სიზუსტეზე. შემსყიდველის მხრიდან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას უზუსტობა.

5.3.2 უზრუნველყოს მომსახურების მიწოდება დადგენილი პირობების შესაბამისად.

5.3.3 დაიცვას ხელშეკრულების ყველა პირობა.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების 10%-ის ოდენობით.

6.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენისთვის „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

6.3 საჯარიმო სანქცია არ ათავისუფლებს „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1 ამ მუხლის მიზნებისთვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული „შემსყიდველის“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

7.2 ფორს-მაჟორული სიტუაციის დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების თაობაზე. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს, გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი გზები, რომლებიც თავისუფლი იქნება ფორს-მაჟორული გარემოებებისგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეიტანოს ამ ხელშეკრულებაში ცვლილებები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო აუცილებელი ხდება ხელშეკრულების პირობებში ცვლილებების შეტანა, მაშინ ცვლილებების ინიციატორი ვალდებულია, აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული, „მიმწოდებელს“ წარუდგინოს რაიმე მტკიცებულებები იმ გარემოებათა თაობაზე, რომელთა გამოც წარმოიშვა ამ ცვლილებათა განხორციელების აუცილებლობა.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1 სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებაზე კონტროლს განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებული პასუხისმგებელი პირი.

10. დამატებითი პირობები

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და გრძელდება 2018 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

10.2 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მის დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე გაასხვისოს, ან მესამე მხარეს გადასცეს თავისი უფლებები და მოვალეობები.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს.

10.4 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

10.5 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11. დავათა განხილვის წესი

11. წამოჭრილ უთანხმოებებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთმოლაპარაკებით, შეთანხმების საფუძველზე. ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში-სასამართლო წესით მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	შპს „პროფესიონალი-33"
ს/კ: 205162802	ს/კ 220415183
მის: ქ.თბილისი, გოძიაშვილის ქუჩა #49	იურ. მის: ქ. ზუგდიდი, თამარ მეფის ქ. №27/30
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში	სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიში/სახაზინო კოდი: 707527102	ა/ა: GE49BG0000000101117093
---	---
ირაკლი გულედანი დირექტორი	დავით ელიავა დირექტორი

214

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

21 ნოემბერი 2018 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერი პირები ვადასტურებთ, რომ შერჩევისა და ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების პროცედურებში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და **შპს „პროფესიონალი-33“**-ს მიმართ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის
სამინისტროს ლაბორატორიის

დირექტორი: ირაკლი გულედანი

ზუგდიდის ლაბორატორიის უფროსი: მანანა კაკულია

შესყიდვების განყოფილების უფროსი: დიმიტრი მირველაშვილი